ხელშეკრულება
ლოიალობის პროექტში ჩართვის შესახებ

მუხლი 1. ტერმინთა განმარტება

1. **ლოიალობის პროექტი:** ბანკის წამახალისებელი პროექტი, რომლის ფარგლებში კლიენტს, პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ში ნივთის/მომსახურების შეძენისას და პლასტიკური ბარათით ბანკის პოს ტერმინალის / ელექტრონული კომერციის საშუალებით გადახდისას, პლასტიკური ბარათის ბალანსზე, ბანკის გადაწყვეტილებით, ერიცხება ლოიალობის ქულები. ლოიალობის ქულების განაღდება შესაძლებელია პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ში.
2. **ლოიალობის ქულები**: ლოიალობის პროექტის ფარგლებში, კლიენტის მიერ პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ში ნივთის/მომსახურების შეძენისას და პლასტიკური ბარათით ბანკის პოს ტერმინალის / ელექტრონული კომერციის საშუალებით გადახდისას, პლასტიკური ბარათის ბალანსზე ბანკის მიერ, კლიენტის სასარგებლოდ, დარიცხული/დაგროვილი ქულები.
3. **ლოიალობის ქულების განაღდება**: ლოიალობის პროექტის ფარგლებში, კლიენტის მიერ პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ში ნივთის/მომსახურების შეძენისას, ნივთის/მომსახურების ღირებულების ლოიალობის ქულებით გადახდა (ბანკის პოს ტერმინალის / ელექტრონული კომერციის საშუალებით). ნივთი/მომსახურება, რომელზეც გავრცელდება ლოიალობის პროექტი, განსაზღვრავს ბანკი დამოუკიდებლად.
4. **პარტნიორი კომპანია**: იურიდიული პირი / ორგანიზაციული წარმონაქმნი / ინდივიდუალური მეწარმე, რომლებთანაც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.
5. **ბანკი**: სს „თიბის ბანკი“ (ს.ნ. 204854595).
6. **კლიენტი**: ბანკის და/ან პარტნიორი კომპანიის მომხმარებელი.
7. **პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ი**: პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ი და/ან ელექტრონული/ონლაინ მაღაზია, სადაც შესაძლებელია ნივთის/მომსახურების შეძენა.
8. **პლასტიკური ბარათი**: კლიენტის მფლობელობაში არსებული, სს „თიბის ბანკის“ მიერ გამოშვებული (ემიტირებული) „ვიზა” (VISA) ან „მასთერქარდ“ (MasterCard) საკრედიტო ან სადებეტო ბარათი.
9. **პლასტიკური ბარათის ბალანსი**: პლასტიკური ბარათის შესაბამისი ბალანსი, რომელზეც ბანკი, ხელშეკრულების პირობებისა და ბანკის მიერ დადგენილი წესების/პროცედურების შესაბამისად, ლოიალობის პროექტის ფარგლებში, ახორციელებს ლოიალობის ქულების დარიცხვას კლიენტის სასარგებლოდ.
10. **განაცხადი:** ლოიალობის პროექტში ჩართვის შესახებ განაცხადი, რომლითაც პარტნიორი კომპანია უერთდება/ეთანხმება/ადასტურებს წინამდებარე ხელშეკრულებას.
11. **ხელშეკრულება**: წინამდებარე ხელშეკრულება, მისი ნებისმიერი ცვლილება/დამატება, განაცხადი, ნებისმიერი შეთანხმება, რომელიც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე/ფარგლებში, მათ შორის დანართი №1.
12. **ძირითადი ხელშეკრულება**: ხელშეკრულება იურიდიული პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ / ხელშეკრულება ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ, რომელიც გაფორმებულია ბანკსა და პარტნიორ კომპანიას შორის.
13. **დანართი №1:** პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ პოლიტიკა, რომელიც არის ხელშეკრულების არსებითი და განუყოფელი ნაწილი.
14. **მხარე**: ბანკი / პარტნიორი კომპანია.
15. **მხარეები**: ბანკი და პარტნიორი კომპანია.
16. **დისტანციური საშუალება/ები**: ინტერნეტბანკი/მობაილბანკი/ელექტრონული ფოსტა.

17. **პარტნიორი კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართი**: განაცხადში დაფიქსირებული პარტნიორი კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართი და/ან პარტნიორი კომპანიის ნებისმიერი სხვა ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომელიც განაცხადით განსაზღვრულ შემთხვევებში (მიზნებისთვის) გამოიყენება.
18. **ბანკის ელექტრონული ფოსტის მისამართი**: loyalty@tbcbank.com.ge.
19. **ბანკის ვებგვერდი** - www.tbcbank.ge.
20. **ერთგულის ვებგვერდი** - ბანკის სპეციალური ვებგვერდი - www.ertguli.ge.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. პარტნიორი კომპანია უზრუნველყოფს კლიენტის მომსახურებას პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ში, რაც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება):

2.1.1. კლიენტის მიერ ნივთის/მომსახურების შეძენისას და ბანკის პოს ტერმინალის / ელექტრონული კომერციის საშუალებით პლასტიკური ბარათით გადახდისას, პარტნიორი კომპანიის მიერ კლიენტის სასარგებლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასდაკლების განხორციელებას.

2.1.2. პლასტიკური ბარათით გადახდ(ებ)ის მიღებას ბანკის პოს ტერმინალის / ელექტრონული კომერციის საშუალებით.

2.1.3. კლიენტის მოთხოვნით, პარტნიორი კომპანიის მიერ ლოიალობის ქულების განაღდებას.

2.1.4. კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდებას, ნივთის/მომსახურების შეძენისას და პლასტიკური ბარათით ბანკის პოს ტერმინალის / ელექტრონული კომერციის საშუალებით გადახდისას, ბანკის მიერ კლიენტის სასარგებლოდ, ლოიალობის ქულების დარიცხვისა და კლიენტის მიერ ლოიალობის ქულების პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ში განაღდების შესაძლებლობის შესახებ.

2.2. ბანკი უზრუნველყოფს, კლიენტის მიერ პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ში ნივთის/მომსახურების შეძენისას და პლასტიკური ბარათით ბანკის პოს ტერმინალის / ელექტრონული კომერციის საშუალებით გადახდისას, ლოიალობის ქულების დარიცხვას პლასტიკური ბარათის ბალანსზე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესითა და ბანკში დადგენილი სტანდარტების/პროცედურების/პოლიტიკის შესაბამისად.

მუხლი 3. დისტანციური საშუალებ(ებ)ით გარიგების გაფორმება

3.1. ბანკის მიერ დაგეგმილი აქცი(ებ)ის/კამპანიის/პროექტის, ხელშეკრულების ცვლილება-დამატების ფარგლებში, ბანკის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მხარეებმა წერილობითი (მატერიალური) ფორმით ან/და დისტანციური საშუალებ(ებ)ით დადონ/გააფორმონ შეთანხმება/გარიგება კონკრეტულ აქციასთან/კამპანიასთან/პროექტთან, ცვლილება-დამატებასთან დაკავშირებით.

3.2. ხელშეკრულების 3.1 პუნქტის მიუხედავად, ბანკი უფლებამოსილია სხვადასხვა სახის აქცი(ებ)ის/კამპანიის, პროექტის პირობები განსაზღვროს დამოუკიდებლად/ერთპიროვნულად/ცალმხრივად. ამგვარი აქცი(ებ)ის/კამპანიის/პროექტის პირობების შესახებ პარტნიორ კომპანიას ეცნობება დისტანციური საშუალებ(ებ)ით და/ან ბანკის ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნების საფუძველზე. აქციასთან/კამპანიასთან/პროექტთან დაკავშირებული პირობები/შეთანხმება ძალაში შევა დისტანციური საშუალებ(ებ)ით შესაბამისი შეტყობინების პარტნიორი კომპანიისთვის გაგზავნიდან და/ან ბანკის ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ამოწურვისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დისტანციური საშუალებ(ებ)ით პარტნიორი კომპანიისთვის მიწოდებული შესაბამისი შეტყობინებით და/ან ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით სხვა ვადა არის განსაზღვრული შესაბამის აქციასთან/კამპანიასთან/პროექტთან დაკავშირებული პირობების/შეთანხმების ძალაში შესვლასა და მოქმედების პერიოდთან დაკავშირებით (ასეთ შემთხვევაში მოქმედებს ბანკის მიერ მიწოდებული შესაბამისი შეტყობინებით და/ან ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ

ინფორმაციაში მითითებული ვადები). კონკრეტულ აქციასთან/კამპანიასთან/პროექტთან დაკავშირებით ბანკის მიერ განსაზღვრული პირობები არის ხელშეკრულების არსებითი და განუყოფელი ნაწილი.

3.3. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს ცალმხრივად, ერთპიროვნულად შეიტანოს ცვლილებები და დამატებები ხელშეკრულებაში. ხელშეკრულების ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის შესახებ პარტნიორ კომპანიას ეცნობება დისტანციური საშუალებ(ებ)ით და/ან ბანკის ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის გამოქვეყნების საფუძველზე. ამგვარი ცვლილებები/დამატებები ძალაში შევა დისტანციური საშუალებ(ებ)ით შესაბამისი შეტყობინების/ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის პარტნიორი კომპაიისთვის გაგზავნიდან და/ან ბანკის ვებგვერდზე შესაბამისი ინფორმაციის/ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის გამოქვეყნებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ამოწურვისთანავე და მოქმედებს ხელშეკრულების მოქმედების ვადით, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დისტანციური საშუალებ(ებ)ით მიწოდებული შესაბამისი შეტყობინებით, ცვლილებ(ებ)ით-დამატებ(ებ)ით და/ან ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნებული ინფორმაციით სხვა ვადა არის განსაზღვრული ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის ძალაში შესვლასა და მოქმედების პერიოდთან დაკავშირებით (ასეთ შემთხვევაში მოქმედებს ბანკის მიერ მიწოდებული შესაბამისი შეტყობინებით, ცვლილებ(ებ)ით-დამატებ(ებ)ით განსაზღვრული და/ან ბანკის ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში მითითებული ვადები). ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება/დამატება არის ხელშეკრულების არსებითი და განუყოფელი ნაწილი.

3.4. ხელშეკრულების 3.1. პუნქტში მითითებული, დისტანციური საშუალებ(ებ)ით შეთანხმების/გარიგების დადება/გაფორმება გულისხმობს:

3.4.1. დისტანციური საშუალებ(ებ)ით, შეტყობინების სახით ბანკის მიერ გარიგების/შეთანხმების პირობების გაგზავნას და პარტნიორი კომპანიის მიერ დისტანციური საშუალებ(ებ)ით გარიგების პირობების დადასტურებას/დათანხმებას (თანხმობის ამსახველი შეტყობინების გამოგზავნას ბანკისთვის).

3.4.2. დისტანციური საშუალებ(ებ)ით ბანკის მიერ გარიგების/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტის ელექტრონული ფორმით (ბანკის მიერ განსაზღვრული ფორმატით) თანდართვას შეტყობინებაზე და პარტნიორი კომპანიისთვის გაგზავნას, ხოლო პარტნიორი კომპანიის მიერ მიღებული გარიგების/შეთანხმების, დისტანციური საშუალებ(ებ)ით, დადასტურებას/დათანხმებას (თანხმობის ამსახველი შეტყობინების გამოგზავნას ბანკისთვის). ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, პარტნიორი კომპანია, დისტანციური საშუალებ(ებ)ით შეტყობინების სახით დადასტურებასთან ერთად, ვალდებულია განახორციელოს ბანკის მიერ გაგზავნილი გარიგების/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტის ელექტრონული ფორმით (ბანკის მიერ განსაზღვრული ფორმატით) თანდართვა შეტყობინებაზე და გაგზავნა ბანკისთვის.

3.4.3. დისტანციური საშუალებ(ებ)ით ბანკის მიერ გარიგების/შეთანხმების ამსახველი დოკუმენტის ელექტრონული ფორმით (ბანკის მიერ განსაზღვრული ფორმატით) თანდართვას შეტყობინებაზე და პარტნიორი კომპანიისთვის გაგზავნას, პარტნიორი კომპანიის მიერ მიღებული გარიგების/შეთანხმების ამობეჭდვას, მატერიალური ფორმით ხელმოწერას და ხელმოწერილი გარიგების/შეთანხმების ელექტრონული ფორმით (ბანკის მიერ განსაზღვრული ფორმატით) გაგზავნას/დაბრუნებას ბანკისთვის დისტანციური საშუალებ(ებ)ით. პარტნიორი კომპანია, მატერიალური ფორმით ხელმოწერილი და ელექტრონული სახით (ბანკის მიერ განსაზღვრული ფორმატით) გარიგების/შეთანხმების გაგზავნისას, ბანკს შეტყობინების სახითაც უდასტურებს/ეთანხმება გარიგებას/შეთანხმებას (ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში).

3.4.4. ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა ნებისმიერი ფორმით / საშუალებით გარიგების დადასტურებას/გაფორმებას.

3.5. დისტანციური საშუალებ(ებ)ით გარიგების/შეთანხმების გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს, ბანკის მოთხოვნით, ხელშეკრულების 3.4.1; 3.4.2; 3.4.3; 3.4.4 ქვეპუნქტ(ებ)ით გათვალისწინებული ქმედებ(ებ)ის/პროცეს(ებ)ის ერთდროულად განხორციელებით ან ცალკეულად რომელიმე ქვეპუნქტში მითითებული პროცესის/ქმედების განხორციელებით.

3.6. ბანკი უფლებამოსილია, დისტანციური საშუალებ(ებ)ით გარიგების/შეთანხმების პარტნიორი კომპანიისთვის გაგზავნისას, განსაზღვროს გარიგების/შეთანხმების გაფორმების/დადასტურების ვადა. იმ შემთხვევაში თუ,

პარტნიორი კომპანია ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში და ბანკის მიერ განსაზღვრული ფორმით არ დაადასტურებს გარიგებას/შეთანხმებას, შესაბამისი გარიგება/შეთანხმება გაფორმებულად/დადებულად არ ჩაითვლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ბანკი განსხვავებულ გადაწყვეტილებას მიიღებს კონკრეტული გარიგების/შეთანხმების გაფორმებისას.

3.7. პარტნიორი კომპანია აცხადებს და ადასტურებს, რომ ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს დისტანციური საშუალებ(ებ)ით დადასტურებული/გაფორმებული და/ან ამავე დისტანციური საშუალებ(ებ)ით გაგზავნილი/ხელმოწერილი გარიგების/შეთანხმების/შეტყობინების ბანკისთვის მიწოდებას მატერიალური/ხელმოწერილი ფორმით, დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლის სახით, არაუგვიანეს ბანკის მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღისა.

3.8. პარტნიორ კომპანია ვალდებულია, წინასწარ, წერილობითი (მატერიალური) ფორმით ან დისტანციური საშუალებ(ებ)ით შეატყობინოს ბანკს ელექტრონული ფოსტის მისამართის ცვლილების, გაუქმების ან/და სხვა მსგავსი გარემოების თაობაზე.

3.9. ბანკი პასუხს არ აგებს პარტნიორი კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი შეტყობინების/გარიგების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის სხვა პირის მიერ მიღებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

3.10. ბანკი პასუხს არ აგებს პარტნიორი კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართიდან სხვა პირის მიერ გამოგზავნილი შეტყობინების/გარიგების ან სხვა ნებისმიერი ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტაციის ბანკის მიერ მიღებით და შესაბამისად ქმედების განხორციელებით/ქმედების განხორციელებისაგან თავის შეკავებით გამოწვეულ შედეგ(ებ)ზე.

3.11. მხარეები აცხადებენ, რომ მათ მიერ დისტანციური საშუალებ(ებ)ით განხორციელებულ კომუნიკაციას, გაგზავნილ შეტყობინებას, შეთანხმების, გარიგების გაფორმებას/დადასტურებას გააჩნია წერილობითი (მატერიალური) ფორმით შესრულებული, ქაღალდზე დაბეჭდილი, მხარეების მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა და აქვს სამართლებრივად მავალდებულებელი ძალა მხარეებისთვის. შეტყობინების/გარიგების/შეთანხმების ნამდვილობა არ შეიძლება გახდეს მხარეთა შორის დავის წარმოშობის წინაპირობა (იმ საფუძვლით, რომ მიწოდებულია/მიღებულია/გაფორმებულია დისტანციური საშუალებ(ებ)ით).

მუხლი 4. მხარეთა შორის ანგარიშსწორების პირობები

4.1. პარტნიორი კომპანია იღებს ვალდებულებას, კლიენტის მიერ ნივთის/მომსახურების შეძენისას განახორციელოს ფასდაკლება, კლიენტის სასარგებლოდ, განაცხადით გათვალისწინებული ოდენობით და პირობებით.

4.2. პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ში კლიენტის მიერ პლასტიკური ბარათით, ბანკის პოს ტერმინალის / ელექტრონული კომერციის საშუალებით, ტრანზაქციის/გადახდის განხორციელებისას, ბანკი უზრუნველყოფს პლასტიკური ბარათიდან ჩამოჭრილი თანხის (შეძენილი ნივთის/მომსახურების ღირებულების) განთავსებას პარტნიორი კომპანიის ანგარიშზე, შემდეგ კი ხელშეკრულების 4.1 პუნქტით / განაცხადით გათვალისწინებული ფასდაკლების თანხის ჩამოწერას/ჩამოჭრას პარტნიორი კომპანიის ანგარიშიდან.

4.3. ბანკი უფლებამოსილია ხელშეკრულების 4.1 პუნქტით / განაცხადით გათვალისწინებული ფასდაკლების თანხის ჩამოწერა/ჩამოჭრა განახორციელოს პარტნიორი კომპანიის ბანკში გახსნილი ნებისმიერი ანგარიშიდან, პარტნიორი კომპანიის შემდგომი დამატებითი თანხმობის გარეშე (უაქცეპტოდ).

4.4. ხელშეკრულების 4.1 პუნქტით / განაცხადით გათვალისწინებულ ფასდაკლების შესაბამის თანხას, რომელიც პარტნიორი კომპანიის ანგარიშიდან იქნება ჩამოჭრილი/ჩამოწერილი, ბანკი ქულების სახით დარიცხავს კლიენტის პლასტიკური ბარათის ბალანსზე.

4.5. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში (ასეთის არსებობისას) არ გაანაღდებს პლასტიკური ბარათის ბალანსზე დარიცხულ/დაგროვილ ქულებს, ხელშეკრულების 4.1. პუნქტში / განაცხადში მითითებული ფასდაკლების შესაბამისი თანხა მიიმართება ბანკის სასარგებლოდ.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. პარტნიორი კომპანია ვალდებულია:

5.1.1. ბანკის მიერ განსაზღვრული ფორმით კლიენტს მიაწოდოს ინფორმაცია, ლოიალობის პროექტის ფარგლებში, ბანკის მიერ პლასტიკური ბარათის ბალანსზე ქულათა დარიცხვის/განაღდების შესაძლებლობის შესახებ. პარტნიორი კომპანია იღებს ვალდებულებას, საკუთარ ვებგვერდზე (ასეთის არსებობისას) განათავსოს ბანკის მიერ მიწოდებული მარკეტინგული/სარეკლამო ინფორმაცია და/ან ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა საშუალებ(ებ)ით გახადოს ხელმისაწვდომი ლოიალობის პროექტის შესახებ ინფორმაცია კლიენტისთვის. ამასთან, პარტნიორი კომპანია არ არის უფლებამოსილი ბანკთან წერილობითი (მატერიალური ფორმით ან დისტანციური საშუალებ(ებ)ით) შეთანხმების გარეშე პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ში ან მის ვებგვერდზე განათავსოს სარეკლამო/მარკეტინგული მასალა და/ან გაავრცელოს ინფორმაცია ლოიალობის პროექტის შესახებ.

5.1.2. ლოიალობის პროექტის ფარგლებში, კლიენტის მიერ ნივთის/მომსახურების შეძენისას, არ გააძვიროს ნივთის/მომსახურების ღირებულება.

5.1.3. ხელშეკრულების 4.1 პუნქტით / განაცხადით გათვალისწინებული ფასდაკლება გაავრცელოს, მათ შორის იმ ნივთზე/მომსახურებაზე, რომელზეც შესყიდვის პროცესში უკვე მოქმედებს პარტნიორი კომპანიის ფასდაკლების სხვა სისტემა.

5.1.4. უზრუნველყოს ლოიალობის პროექტის ფარგლებში პლასტიკური ბარათით გადახდების მიღება მხოლოდ ბანკის პოს ტერმინალის / ელექტრონული კომერციის საშუალებით და ვალდებულია არ დააწესოს რაიმე სახის შეზღუდვა/აკრძალვა პლასტიკური ბარათით გადახდებზე.

5.1.5. ლოიალოის პროექტის ფარგლებში არ განუცხადოს უარი კლიენტს ნივთის/მომსახურების შეძენაზე და პლასტიკური ბარათით გადახდაზე ბანკის პოს ტერმინალის / ელექტრონული კომერციის საშუალებით.

5.1.6. უზრუნველყოს მისი თანამშრომლებისთვის ლოიალობის პროექტის პირობების გაცნობა იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.

5.1.7. ბანკთან თანამშრომლობით და წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულებით, უზრუნველყოს ლოიალობის პროექტის მიზნების განხორციელება.

5.1.8. უფლება მისცეს ბანკს განათავსოს პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ში ბანკის მიერ განსაზღვრული მარკეტინგული შინაარსის ინფორმაცია, მათ შორის განათავსოს საპრომოციო/სარეკლამო მასალები, რომლებიც ხელს შეუწყობს ლოიალობის პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას.

5.1.9. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, გადასცეს/მიაწოდოს ბანკს პარტნიორი კომპანიის ლოგო, სავაჭრო ან/და სასაქონლო ნიშანი, სარეკლამო/მარკეტინგული მასალა, სურათები და/ან სხვა სახის დოკუმენტაცია/ინფორმაცია (ბანკის მიერ მოთხოვნილი შინაარსით და ფორმით). ამასთან, პარტნიორი კომპანია უშუალოდ და სრულად აგებს პასუხს მის მიერ ბანკისთვის მიწოდებული ინფორმაციის, სარეკლამო-მარკეტინგული მასალის, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტის, სასაქონლო ან/და სავაჭრო ნიშანის კანონმდებლობასთან, მათ შორის ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობასთან და ნორმატიული აქტებთან შესაბამისობაზე. იმ შემთხვევაში, თუ ამავე პუნქტით გათვალისწინებული ლოგოს, სავაჭრო/სასაქონლო ნიშნის, სარეკლამო/მარკეტინგული მასალის, სხვა სახის დოკუმენტ(ებ)ის / ინტელექტუალური საკუთრების ობიექტ(ებ)ის კომპანიის მიერ მოწოდებული სახით/ფორმით სარგებლობისას ბანკს დაეკისრება პასუხისმგებლობა, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მესამე პირის მიმართ, კანონმდებლობის, მათ შორის ინტელექტუალურ საკუთრებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დარღვევის გამო, პარტნიორი კომპანია ვალდებულია აანაზღაუროს ნებისმიერი სახის ზიანი, რაც მიადგება მესამე პირს და/ან ბანკს. იმ შემთხვევაში, თუ ბანკს მოუწევს მესამე პირისთვის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და/ან დაეკისრება რაიმე სახის სანქცია, ბანკი

უფლებამოსილია, რეგრესის წესით მოსთხოვოს პარტნიორ კომპანიას მის მიერ მესამე პირ(ებ)ისთვის გადახდილი/გადასახდელი თანხ(ებ)ის ანაზღაურება.

5.1.10. ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) კვირის ვადაში მიაწოდოს ბანკს პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია, მათ შორის პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ის ჩამონათვალი, მისამართები და გეოგრაფიული ლოკაციის კოორდინატები, სადაც განხორციელდება კლიენტის მომსახურება ლოიალობის პროექტისა და ხელშეკრულების ფარგლებში. ამასთან, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში პარტნიორი კომპანია ვალდებულია მიაწოდოს ბანკს პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ის მისამართების შესახებ განახლებული ინფორმაცია.

5.1.11. განათავსოს პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ში ბანკის პოს ტერმინალები / შესაძლებელი გახადოს გადახდების მიღება ბანკის ელექტრონული კომერციის საშუალებით.

5.1.12. აუნაზღაუროს ბანკს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით მიყენებული, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი ზიანი.

5.1.13. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში სხვა კომერციულ ბანკებს და ფინანსურ ორგანიზაციებს არ შესთავაზოს ხელშეკრულებით ბანკისთვის განსაზღვრულ პირობებზე უკეთესი პირობები, მათ შორის, არ შესთავაზოს ბანკისთვის განსაზღვრულ სატარიფო პირობებზე უკეთესი სატარიფო პირობები (იგულისხმება კლიენტის სასარგებლოდ განსაზღვრული, ხელშეკრულების მე-4 მუხლში / განაცხადში მითითებული, ფასდაკლების ოდენობა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფინანსური ტარიფები).

5.1.14. არ განუცხადოს უარი კლიენტს ნივთის/მომსახურების ღირებულების პლასტიკური ბარათის ბალანსზე დარიცხული/დაგროვილი ლოიალობის ქულებით გადახდასთან დაკავშირებით, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ პლასტიკური ბარათის ბალანსზე ლოიალობის ქულ(ებ)ის დარიცხვა/დაგროვება განხორციელდა პარტნიორი კომპანიის გარდა ნებისმიერ სხვა კომპანიის/პირის სავაჭრო/მომსახურების ობიექტში გარიგების/ტრანზაქციის განხორციელების შედეგად ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა ნებისმიერი საშუალებით.

5.1.15. ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, გადაიხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს თანხები.

5.1.16. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები შეასრულოს სრულად და ჯეროვნად.

5.1.17. ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) წლის გასვლამდე არ შეწყვიტოს ხელშეკრულება ცალმხრივად, ვადაზე ადრე.

5.2. პარტნიორი კომპანია უფლებამოსილია:

5.2.1. მოსთხოვოს ბანკს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვანად შესრულება.

5.2.2. კონფიდენციალური ინფორმაციის ბანკისთვის მიწოდების შემთხვევაში, მოსთხოვოს ბანკს ასეთი ინფორმაციის დაცვა გამჟღავნებისგან ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

5.2.3. პარტნიორი კომპანიის ლოგოს, სავაჭრო და/ან სასაქონლო ნიშნ(ებ)ის ბანკისთვის გადაცემის შემთხვევაში, მოსთხოვოს ბანკს მათი დაცვა/გამოყენება მხოლოდ ხელშეკრულების / ლოიალობის პროექტის მიზნებისთვის.

5.3. ბანკი უფლებამოსილია:

5.3.1. მოსთხოვოს პარტნიორ კომპანიას ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვანად შესრულება.

5.3.2. პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ში პერიოდულად განახორციელოს აქციები/კამპანიები, რაც ხელს შეუწყობს ლოიალობის პროექტის პოპულარიზაციას. პარტნიორი კომპანია კისრულობს ბანკის მიერ ამგვარი ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობის ვალდებულებას.

5.3.3. ხელშეკრულებისა და ლოიალობის პროექტის მიზნებისთვის (მათ შორის, ლოიალობის პროექტის კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი საშუალებით და ფორმით რეკლამირების, მარკეტინგული აქტივობის მიზნებისთვის), საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენოს და ისარგებლოს პარტნიორი კომპანიის ლოგოთი, სავაჭრო / სასაქონლო ნიშნ(ებ)ით, ინტელექტუალური საკუთრების ობიექტ(ებ)ით .

5.3.4. მოსთხოვოს პარტნიორ კომპანიას, ბანკისთვის მისაღები ფორმით, ნებისმიერი სახის ინფორმაცია, დოკუმენტაცია და მასალა, რაც აუცილებელია ხელშეკრულების და ლოიალობის პროექტის მიზნების მიღწევისთვის. ამასთან, ამგვარ ინფორმაციას ბანკი გამოიყენებს ლოიალობის პროექტისა და ხელშეკრულების მიზნებისთვის.

5.3.5. ბანკის სარეკლამო/მარკეტინგული მასალებისა და ლოიალობის პროექტის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მიზნით, მოსთხოვოს პარტნიორ კომპანიას ბანკის წარმომადგენლების დაშვება პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ში.

5.3.6. მის მიერ განსაზღვრული საშუალებების გამოყენებით, ლოიალობის პროექტის მიზნებისთვის, უზრუნველყოს კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდება პარტნიორი კომპანიის / პარტნიორი კომპანიის სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ის შესახებ.

5.3.7. ერთგულის ვებგვერდზე განათავსოს პარტნიორი კომპანიის შესახებ ინფორმაცია და ამ მიზნით მოსთხოვოს პარტნიორ კომპანიას, ლოიალობის პროექტის ფარგლებში, შესაბამისი ინფორმაციისა და/ან დოკუმენტაციის მოწოდება.

5.4. ბანკი ვალდებულია:

5.4.1. ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

5.4.2. უზრუნველყოს პარტნიორი კომპანიისგან მიღებული კონფიდენციალური ინფორმაციის (ასეთის არსებობისას) დაცვა გამჟღავნებისგან.

5.4.3. უზრუნველყოს პარტნიორი კომპანიის ლოგოს, სავაჭრო და/ან სასაქონლო ნიშნ(ებ)ის დაცვა/გამოყენება მხოლოდ ხელშეკრულების / ლოიალობის პროექტის მიზნებისთვის.

მუხლი 6. მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკა

6.1. მხარეები აცხადებენ და იძლევიან გარანტიას, რომ:

6.2. თითოეული მათგანი ასევე, მათი შვილობილი, მშობელი კომპანიები, ასევე მათთან დაკავშირებული პირები თავიანთ საქმიანობასა და ბიზნეს ურთიერთობებს წარმართავენ კეთილსინდისიერად და მართლზომიერად, ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვით. მხარეებს გააჩნიათ ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის, მექრთამეობისა და ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ და აღნიშნულ საკითებს უწევენ მუდმივ კონტროლს.

6.3. მხარეები, ასევე მათთან დაკავშირებული პირები: მათი შვილობილი, მშობელი კომპანიების უმაღლესი მენეჯმენტის წევრები, უფლებამოსილი პირები, წარმომადგენლები, თანამშრომლები, სხვა პერსონალი არ მიიღებენ მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს საჩუქრის, მასპინძლობის, ჯილდოების და სხვა არამატერიალური ქონებრივი სიკეთის შეთავაზებას, მიღებას, მიწოდებას, გაცემას ან მოთხოვნას (პირდაპირ ან ირიბად, რათა შეიქმნას ნებისმიერი ტიპის კომერციული, კონტრაქტული, რეგულატორული ან პირადი უპირატესობა და/ან წახალისდეს ან დაჯილდოვდეს ქმედება რომელიც არის უკანონო და არაეთიკური.

6.4. არცერთ მხარეს ან მათთან დაკავშირებულ პირს:

6.4.1.ხელშეკრულების გაფორმებისას, პირდაპირ ან ირიბად არ გადაუხდია, არ მიუღია, არ ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს, ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული საკომისიო, ქრთამი, ან/და ანაზღაურება.

6.4.2.შეთანხმების/ხელშეკრულების დასადებად არ განუხორციელებია ისეთი ქმედება, რომლის მიზანია, მათ შორის, ფასების ხელოვნური რეგულირება ან/და არაკონკურენტული გარემოს შექმნა ან/და ერთ-ერთი მხარის უმაღლესი მენეჯმენტის წევრის უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და მისი დაკავშირებული საწარმოს ქმედებებზე ზეგავლენა ან/და რომელიმე ზემოაღნიშნული პირის მხრიდან არ ჰქონია ადგილი მუქარას მისი ქონების ან რეპუტაციის მიმართ ან/და ბიზნეს უპირატესობის არაკეთილსინდისიერად მოპოვების ან/და სხვაგვარად არ ყოფილა ჩაბმული კორუფციულ საქმიანობაში.

6.5. არცერთი მხარე არ წარმოადგენს საჯარო პირს და არ მოქმედებს საჯარო პირის სახელით. ამასთან, ორივე მხარე იღებს ვალდებულებას დაუყოვნებლივ შეატყობინოს მეორე მხარეს წინამდებარე პირობის ცვლილების შემთხვევაში.

6.6. თითოეული მათგანი ასევე, მათთან დაკავშირებული პირები არ ყოფილან ცნობილი დამნაშავედ ან/და ბრალდებული კორუფციის/მექრთამეობის კუთხით.

6.7. ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევამ შესაძლებელია გამოიწვიოს როგორც ამ, ისე მხარეებს შორის აქამდე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების შეწყვეტა. ამასთან, ამგვარი შეწყვეტა არ გამორიცხავს დამრღვევი მხარის ან/და მისი უმაღლესი მენეჯმენტის წევრის უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და დაკავშირებული პირის პასუხისმგებლობას და შესაბამის სანქციებს, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით (მათ შორის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც). ამასთანავე, მხარეები ადასტურებენ, რომ მხარის პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს უმაღლესი მენეჯმენტის უფლებამოსილი პირის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და დაკავშირებული საწარმოს ქმედება, თუკი ეს პირი არ მოქმედებდა მხარის სახელითა და დავალებით. აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების ან/და აქამდე გაფორმებული ყველა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ასეთი ხელშეკრულებ(ებ)ის სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

6.8. ნებისმიერი მხარე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მეორე მხარეს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ან/და გამოიწვიოს წინამდებარე გარანტიების დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას. ზემოაღნიშნული გარანტიების დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, ბანკს აქვს უფლება, შემოწმების მიზნით, ხელშემკვრელ მხარეს მოსთხოვოს ანგარიშგებებისა და ჩანაწერების მოწოდება.

მუხლი 7. გადასახადების თავიდან არიდების ხელშეწყობის აღკვეთის პოლიტიკა

7.1. მხარეები ადასტურებენ რომ თითოეული მათგანი ასევე, მათი შვილობილი, მშობელი კომპანიები, ასევე მათთან დაკავშირებული პირები თავიანთ საქმიანობასა და ბიზნეს ურთიერთობებს წარმართავენ კეთილსინდისიერად და მართლზომიერად, ეთიკის მაღალი სტანდარტების დაცვით. მხარეებს გააჩნიათ ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდებისა და ნებისმიერი სხვა სახის დანაშაულებრივი ქმედებების მიმართ და აღნიშნულ საკითებს უწევენ მუდმივ კონტროლს.

7.2. მხარეები, ასევე მათთან დაკავშირებული პირები: მათი შვილობილი, მშობელი კომპანიების უმაღლესი მენეჯმენტის წევრები, უფლებამოსილი პირები, წარმომადგენლები, თანამშრომლები, სხვა პერსონალი არ მიიღებენ მონაწილეობას იმგვარ ქმედებებში, რაც გულისხმობს კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების ხელშეწყობას (პირდაპირ ან ირიბად) ნებისმიერი ფორმით.

7.3. თითოეული მათგანი ასევე, მათთან დაკავშირებული პირები არ ყოფილან ცნობილი დამნაშავედ ან/და ბრალდებული კორუფციის, საგადასახადო თაღლითობის, გადასახადებისგან თავის არიდების ან ხელშემწყობის კუთხით.

7.4. ნებისმიერი ზემოაღნიშნული დებულების დარღვევამ შესაძლებელია გამოიწვიოს როგორც ამ, ისე მხარეებს შორის აქამდე გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულების შეწყვეტა. ამასთან, ამგვარი შეწყვეტა არ გამორიცხავს დამრღვევი მხარის ან/და მისი უმაღლესი მენეჯმენტის წევრის უფლებამოსილი პირის, წარმომადგენლის, თანამშრომლის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და დაკავშირებული პირის პასუხისმგებლობას და შესაბამის სანქციებს, რაც გათვალისწინებულია კანონმდებლობით (მათ შორის, შესაძლო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასაც). ამასთანავე, მხარეები ადასტურებენ, რომ მხარის პასუხისმგებლობას არ გამოიწვევს უმაღლესი მენეჯმენტის უფლებამოსილი პირის, სხვა პერსონალის ან მასთან დაკავშირებული პირის ან/და დაკავშირებული საწარმოს ქმედება, თუკი ეს პირი არ მოქმედებდა მხარის სახელითა და დავალებით.

7.5. აღნიშნული განცხადებები და გარანტიები ძალაშია მხარეთა მიერ ამ ხელშეკრულების ან/და აქამდე გაფორმებული

ყველა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ასეთი ხელშეკრულებ(ებ)ის სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

7.6. ნებისმიერი მხარე დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მეორე მხარეს ყველა იმ გარემოებ(ებ)ის შესახებ, რომელიც შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ან/და გამოიწვიოს წინამდებარე გარანტიების დარღვევა; ასევე, ნებისმიერი ისეთი გარემოების დაწყების ან დადგომის შესახებ, რითაც საფრთხე შეექმნება ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებას. ზემოთაღნიშნული გარანტიების დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, ბანკს აქვს უფლება, შემოწმების მიზნით, ხელშემკვრელ მხარეს მოსთხოვოს ანგარიშგებებისა და ჩანაწერების მოწოდება.

მუხლი 8. კონფიდენციალურობა და პერსონალურ მონაცემთა დაცვა

8.1. პარტნიორი კომპანია კისრულობს ხელშეკრულების ფარგლებში ბანკისგან / კლიენტისგან მიღებული/გაცხადებული ინფორმაციის (მათ შორის პლასტიკურ ბარათებთან და ამ ბარათებით შესრულებულ ოპერაციებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის) კონფიდენციალურობის დაცვის ვალდებულებას, როგორც ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ასევე მისი შეწყვეტის შემდეგ, განუსაზღვრელი ვადით. პარტნიორი კომპანია ვალდებულია მიიღოს ისეთი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურებისაგან, გამჟღავნებისაგან, მოპოვებისაგან, ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისა და შემთხვევითი ან უკანონო დაკარგვისაგან.

8.2. პარტნიორი კომპანია იღებს ვალდებულებას, ბანკის შესაბამისი მოთხოვნის არსებობისას, დაუყოვნებლივ გაანადგუროს ყველა მასალა, დოკუმენტი, რაც შეიცავს კონფიდენციალურ ინფორმაციას ან დაკავშირებულია კონფიდენციალურ ინფორმაციასთან.

8.3. ბანკის თანხმობის შემთხვევაში კონფიდენციალური ინფორმაციის მესამე პირზე გადაცემის შემთხვევაში, პარტნიორი კომპანია ვალდებულია უზრუნველყოს ამ პირთა მიერ კონფიდენციალურობის მოთხოვნების განუხრელი დაცვა. პარტნიორი კომპანია პასუხს აგებს მესამე პირთა მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის არამართლზომიერ გამოყენებაზე ან/და გახმაურებაზე.

8.4. პარტნიორი კომპანია იღებს ვალდებულებას მის დაქვემდებარებაში მყოფ პირებს, მათ შორის თანამშრომლებს გააცნოს კონფიდენციალური ინფორმაცია იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია პარტნიორი კომპანიის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების ჯეროვნად შესრულებისათვის. ამასთან, პარტნიორი კომპანია უშუალოდ აგებს პასუხს მის დაქვემდებარებაში მყოფი პირების, მათ შორის მისი თანამშრომლების მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის არამართლზომიერ გამოყენებაზე ან/და გახმაურებაზე.

8.5. პარტნიორი კომპანია არ არის უფლებამოსილი ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული/მოპოვებული კონფიდენციალური ინფორმაცია გამოიყენოს საკუთარი ინტერესებისათვის.

8.6. პარტნიორი კომპანია კისრულობს ვალდებულებას დაუყოვნებლივ, წერილობით აცნობოს ბანკს ნებისმიერი მესამე პირისგან, მათ შორის სახელმწოფოს კომპეტენტური ორგანოდან, რაიმე მოთხოვნის მიღების თაობაზე, თუ ხსენებული მოთხოვნა საჭიროებს კონფიდენციალური ინფორმაციის გაცხადებას. პარტნიორი კომპანია იღებს ვალდებულებას საშუალება მისცეს ბანკს გაეცნოს მოთხოვნის შინაარს, რათა დაადგინოს კანონიერია თუ არა აღნიშნული მოთხოვნა და შეზღუდოს კონფიდენციალური ინფორმაციის გაცხადება კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში.

8.7. პარტნიორი კომპანია იღებს ვალდებულებას თავად აანაზღაუროს ყველა ის ზიანი, რაც შესაძლოა მიადგეს ბანკს კონფიდენციალური ინფორმაციის უკანონო გამჟღავნების შედეგად (მათ შორის საქმიანი რეპუტაციის შელახვის შედეგად).

8.8. იმ შემთხვევაში, თუ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში პარტნიორი კომპანიისთვის ცნობილი გახდა ბანკის კლიენტების ან დაკავშირებული პირების პერსონალური მონაცემი, პარტნიორი კომპანია ვალდებულია, პერსონალური მონაცემები დაამუშაოს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში კონკრეტული

მიზნის მისაღწევად და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად; დაუშვებელია პერსონალურ მონაცემთა გადაცემა ნებისმიერი მესამე პირისთვის ასევე მონაცემთა დამუშავება აუცილებელ ფარგლებს მიღმა. პერსონალური მონაცემების დაცვის აუცილებლობა ვრცელდება ნებისმიერ პერსონალურ მონაცემზე მიუხედავად იმისა, თუ რა წყაროდან გახდა ცნობილი პარტნიორი კომპანიისთვის პერსონალური მონაცემი; პარტნიორი კომპანია ვალდებულია თავად აანაზღაუროს ყველა ის ზიანი, რაც შესაძლოა მიადგეს ბანკს პერსონალური მონაცემების ნებისმიერი ფორმით დამუშავების შედეგად, ზიანის ოდენობის მიუხედავად, მათ შორის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ბანკისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შემთხვევაში.

8.9. პარტნიორი კომპანია აცხადებს, რომ თუ ბანკს გადასცემს კლიენტის და/ან ნებისმიერი პირის პერსონალურ მონაცემს, ამგვარ გადაცემას განახორციელებს შესაბამისი პირისგან/კლიენტისგან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით მოპოვებული თანხმობის საფუძველზე. ამასთან, თუ პარტნიორ კომპანიას ბანკისთვის კლიენტის/ნებისმიერი მესამე პირის პერსონალური მონაცემის გადაცემამდე არ ექნება წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული თანხმობა მოპოვებული, პარტნიორი კომპანია უშუალოდ არის პასუხისმგებელი აანაზღაუროს ნებისმიერი სახის ზიანი, რომელიც წარმოიიშობა პერსონალური მონაცემების უკანონო დამუშავების საფუძვლით, მათ შორის ვალდებული იქნება აუნაზღაუროსს ბანკს და/ან ნებისმიერ პირს/კლიენტს მიყენებული ზიანი და/ან კანონმდებლობის დარღვევის გამო დაკისრებული სანქციის თანხები (მათ შორის, ბანკისთვის დაკისრებული სანქციის თანხა, ასეთის არსებობისას).

8.10. პარტნიორი კომპანია ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია ბანკის ვებგვერდზე (GEO/ENG) განთავსებული „კონფიდენციალურობის პოლიტიკა“, რომელიც მოიცავს პირის პერსონალურ მონაცემებთან / კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული საკითხებს.

მუხლი 9. შეტყობინებები

9.1. მხარეებს შორის ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა/კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს წერილობითი (მატერიალური) ფორმით ან ელექტრონულად / დისტანციური საშუალებ(ებ)ით. მხარისათვის გათვალისწინებული წერილობითი (მატერიალური) შეტყობინება მას შეიძლება მიეწოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის (მათ შორის, საერთაშორისო კურიერის) ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის, დაზღვეული წერილის) საშუალებით. დასაშვებია პარტნიორი კომპანიისათვის შეტყობინების მიწოდება დისტანციური საშუალებ(ებ)ით, მოკლე ტექსტური შეტყობინების ან ბანკის მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა ოპერატიული საშუალებით გაგზავნის გზით.

9.2. პარტნიორი კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება მისთვის ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების მიღების დღეს, თუ მიღება (მხარისათვის ჩაბარება) დასტურდება შესაბამისი ტექნიკური საშუალებით ამონაწერის ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მიწოდებული დადასტურებით.

9.3. მოკლე ტექსტური შეტყობინების და/ან სხვა ელექტრონული საშუალებით (გარდა ინტერნეტბანკით/მობაილბანკით ელექტრონული ფოსტით) შეტყობინების გაგზავნის შემთხვევაში, შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება გაგზავნის თარიღიდან მეორე სამუშაო დღეს, თუკი სხვაგვარად არ იქნა გათვალისწინებული კომუნიკაციის ამგვარი საშუალებების გამოყენებაზე ბანკის მიერ დადგენილი წესებითა და პროცედურებით.

9.4. მხარეები თანხმდებიან, რომ დისტანციური საშუალებ(ებ)ით, მოკლე ტექსტური შეტყობინებით და/ან ბანკის მიერ დადგენილი ნებისმიერი სხვა ოპერატიული საშუალებით გაგზავნილი ელექტრონული შეტყობინება ითვლება პარტნიორი კომპანიისათვის ოფიციალურად ჩაბარებულ შეტყობინებად.

9.5. წერილობითი (მატერიალური) ფორმით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს, თუ შეტყობინების მიღება დადასტურებულია ადრესატის მიერ. თუ შეტყობინების მიღება

არ არის დადასტურებული ადრესატის მიერ, ნებისმიერი ასეთი შეტყობინება მიიჩნევა სათანადო წესის შესაბამისად გაგზავნილად და მიღებულად, შეტყობინების გაგზავნიდან მეორე დღეს.

9.6. წერილობითი (მატერიალური) ფორმით გაგზავნილი შეტყობინება მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ შეტყობინების გამგზავნ მხარეს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე ან თავს აარიდებს მის მიღებას.

9.7. შეტყობინება ასევე მიღებულად/ჩაბარებულად ითვლება კანონმდებლობით განსაზღვრული ნებისმიერი ფორმითა და საშუალებით გაგზავნისა და ჩაბარების შემთხვევაშიც.

9.8. ბანკი მატერიალური ფორით შეტყობინებ(ებ)ის გაგზავნისას/კომუნიკაციისას დაეყრდნობა პარტნიორი კომპანიის მიერ ბანკისთვის მიწოდებულ ინფორმაციას/საკონტაქტო მონაცემ(ებ)ს.

9.9. პარტნიორი კომპანია ვალდებულია საკონტაქტო მონაცემ(ებ)ის / მისამართ(ებ)ის (მათ შორის ელექტრონული ფოსტის, იურიდიული/ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართის, მობილური ტელეფონის ნომრის) ცვლილების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს, წინააღმდეგ შემთხვევაში, პარტნიორი კომპანიის მიერ ბანკისთვის მიწოდებულ მისამართზე (მათ შორის, ელექტრონული ფოსტის მისამართზე) და/ან საკონტაქტო მონაცემის საშუალებით ბანკის მიერ გაგზავნილი შეტყობინება ჩაითვლება ჯეროვნად გაგზავნილად/ჩაბარებულად.

მუხლი 10. ფორს-მაჟორი

10.1. ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა პირდაპირ არის დაკავშირებული ფორს-მაჟორული გარემოების შედეგთან.

10.2. წინამდებარე მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული მხარეების შეცდომებსა და დაუდევრობასთან და, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და სხვა.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს შეტყობინება (წერილობითი (მატერიალური) ფორმით ან დისტანციური საშუალებ(ებ)ით) ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან პასუხს (წერილობითი (მატერიალური) ფორმით ან დისტანციური საშუალებ(ებ)ით), იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

10.4. იმ შემთხვევაში, თუ მხარე, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის მიზეზით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, აღნიშნული გარემოების დადგომის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე არ განახორციელებს მეორე მხარისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნას, არ თავისუფლდება საჯარიმო სანქციების გადახდის ვალდებულებისგან.

10.5. იმ შემთხვევაში, თუ ფორს-მაჟორული გარემოება გრძელდება 3 თვეზე მეტი ვადის განმავლობაში, მეორე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება, მხარისთვის შეტყობინებით.

მუხლი 11. სანქცირებულ პირთა შესახებ დათქმა

11.1.პარტნიორი კომპანია ადასტურებს, რომ:

11.1.1. პარტნიორი კომპანია, მისი დამფუძნებლები, მენეჯმენტი ან აღმასრულებელი/სამეთვალყურეო ორგანოს წევრები, ასევე პარტნიორი კომპანიის ბენეფიციარი მესაკუთრე(ებ)ი ან/და მათთან აფილირებული პირები ამ ხელშეკრულების ხელმოწერამდე ან/და მისი მოქმედების განმავლობაში ნებისმიერი დროს:

11.1.1.1. არ არიან/იქნებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ან/და ევროკავშირის ან/და ამერიკის შეერთებული შტატების უცხოური აქტივების კონტროლის სამმართველოს (OFAC), სახელმწიფო დეპარტამენტის, ვაჭრობის სამინისტროს ან/და საქართველოს (შემდგომში ერთად ან ცალ-ცალკე „უფლებამოსილი პირ(ებ)ი“) მიერ სანქცირებულ პირთა სიაში (შემდგომში „სანქცირებულ პირთა სია“), მათ შორის ტერორიზმის მხარდაჭერისთვის ან/და სხვა ნებისმიერი ქმედებისთვის რასაც დროდადრო განსაზღვრავენ უფლებამოსილი პირ(ებ)ი.

11.1.1.2. არ არიან/იქნებიან იმ სახელმწიფოს რეზიდენტები, რომელზეც უფლებამოსილი პირ(ებ)ის მიერ ვრცელდება ემბარგო.

11.1.1.3. პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დაუდიათ/დადებენ ნებისმიერ გარიგებას ნებისმიერ პირთან ან/და გაერთიანებასთან, რომელიც შეყვანილია/შეყვანილ იქნება სანქცირებულ პირთა სიაში ან/და რომელიც არის იმ სახელმწიფოს რეზიდენტი, რომელზეც ვრცელდება ემბარგო.

11.1.1.4. პირდაპირ ან/და ირიბად, მათ შორის სხვა პირ(ებ)ის მეშვეობით არ დააფინანსებენ ან/და არ გადასცემენ ნებისმიერი სახის აქტივს/ქონებას ნებისმიერ პირს ან/და გაერთიანებას, რომელიც შეყვანილია/შეყვანილ იქნება სანქცირებულ პირთა სიაში ან/და რომელიც არის იმ სახელმწიფოს რეზიდენტი, რომელზეც უფლებამისილი პირ(ებ)ის მიერ ვრცელდება ემბარგო.

11.1.2. წინამდებარე პირობის/მუხლის დარღვევის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და სხვა დამატებითი პირობები

12.1. პარტნიორი კომპანია ადასტურებს, რომ მისი საქმიანობა აკმაყოფილებს გარემოსდაცვით, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და შრომის მარეგულირებელი ყველა ნორმატიული აქტის მოთხოვნებს. ამასთან, ხსენებული მოთხოვნები პარტნიორი კომპანიის მიერ დაცული იქნება ბანკთან ურთიერთობის ნებისმიერ ეტაპზე. ამასთანავე, პარტნიორი კომპანია ვალდებულია ბანკისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებისას წარმოქმნილი ნარჩენების უტილიზაცია განახორციელოს საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის მოთხოვნების მიხედვით.

12.2. პარტნიორი კომპანია ადასტურებს, რომ აღიარებს და იცავს ადამიანს უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც აბსოლუტურ ღირებულებას და თავის ბიზნეს საქმიანობას წარმართავს აღნიშნული ღირებულებების დაცვით. პარტნიორი კომპანია საქმიანობის პროცესში არ არღვევს შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ ძირითად პრინციპებს, ხელს არ უწყობს მონურ შრომას და არ ახალისებს პირთა შორის დისკრიმინაციას.

12.3. მხარეები თანხმდებიან, რომ პლასტიკურ ბარათ(ებ)ზე ქულათა დარიცხვის/განაღდების წესს ერთპიროვნულად/დამოუკიდებლად შეიმუშავებს (და საჭიროების შემთხვევაში ცვლილებებს შეიტანს) ბანკი.

12.4. ლოიალობის პროექტის / ხელშეკრულების მიზნებისთვის თითო ქულის შესაბამისი თანხობრივი ოდენობა განსაზღვრული იქნება ბანკის მიერ დამოუკიდებლად და აღნიშნულთან დაკავშირებით ინფორმაცია განთავსებული იქნება ერთგულის ვებგვერდზე.

12.5. ხელშეკრულება ძალაში შედის პარტნიორი კომპანიის მიერ განაცხადის ხელმოწერისთანავე / დისტანციური საშუალებ(ებ)ით დადასტურებისთანავე და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით, ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, მის შეწყვეტამდე.

12.6. ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) წლის შემდეგ პარტნიორი კომპანია უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, შეწყვეტამდე 3 (სამი) თვით ადრე ბანკისთვის წერილობითი (მატერიალური) ფორმით გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.

12.7. პარტნიორი კომპანიის მიერ ხელშეკრულებით ან ხელშეკრულებასთან დაკავშირებული რომელიმე გარიგებით/შეთანხმებით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება პარტნიორი კომპანიისთვის 7 (შვიდი) კალენდარული დღით ადრე წერილობითი (მატერიალური) ფორმით ან დისტანციური საშუალებ(ებ)ით გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე.

12.8. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ცალმხრივად, შეწყვიტოს ხელშეკრულება შეწყვეტამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე პარტნიორი კომპანიისთვის წერილობითი (მატერიალური) ფორმით ან დისტანციური საშუალებ(ებ)ით გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე. ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება შეტყობინების გაგზავნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ამოწურვისთანავე.

12.9. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებშიც.

12.10. ხელშეკრულების ცვლილება/დამატება ძალაშია, თუ იგი შესრულებულია წერილობითი (მატერიალური) ფორმით ან დისტანციური საშუალებ(ებ)ით ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

12.11. მხარეთა შორის წარმოშობილი ნებისმიერი დავა და უთანხმოება გადაწყდება მოლაპარაკებით, საყოველთაოდ მიღებული ბიზნეს-ეთიკის წესების შესაბამისად. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს საქართველოს საერთო სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12.12. სასამართლოს მიერ ბანკის სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი 268-ე მუხლის 1^1 პუნქტის შესაბამისად.

12.13. ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა ან/და ძალადაკარგულად გამოცხადება არ იწვევს მისი სხვა ნაწილების ბათილობას ან/და ძალადაკარგულად გამოცხადებას.

12.14. ხელშეკრულება წარმოადგენს ძირითადი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. საკითხები, რაც არ არის რეგულირებული ხელშეკრულებით დარეგულირდება ძირითადი ხელშეკრულებით.

12.15. ხელშეკრულება სავალდებულოა შესასრულებლად პარტნიორი კომპანიის სამართალმემკვიდრეების/უფლებამონაცვლეების და უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ.

12.16. ხელშეკრულება სრულად გამოხატავს მხარეთა ნებას.

დანართი №1. პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ პოლიტიკა

1.1 პარტნიორი კომპანია აცხადებს და იძლევა გარანტიას, რომ:

1.1.1 წინამდებარე ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული, მასზე გადაცემულ პერსონალურ მონაცემებს დაამუშავებს მხოლოდ წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში კონკრეტული მიზნის მისაღწევად და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

1.1.2 პერსონალურ მონაცემთა არაავტორიზებული დამუშავების (მათ შორის შემთხვევითი ან უნებართვო გავრცელება, წვდომა, შეცვლა და განადგურება) აღსაკვეთად გაატარებს შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს

პერსონალურ მონაცემთა ბუნებისა და პერსონალურ მონაცემთა სუბიექტებთან დაკავშირებული რისკების გათვალისწინებით;

1.1.3 შეზღუდავს პერსონალურ მონაცემებთან წვდომის უფლების მქონე პირთა წრეს და ასეთ უფლებას მიანიჭებს მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც უშუალოდ საჭიროებენ მონაცემებზე წვდომას და, რომელთაც გააზრებული აქვთ მონაცემთა კონფიდენციალურობისა და უსაფრთხოების დაცვის ვალდებულება;

1.1.4 პერსონალურ მონაცემებზე შემთხვევითი ან უნებართვო წვდომის, ასეთი მონაცემების განადგურების, დაკარგვის, შეცვლის ან გასაჯაროვების შემთხვევაში დაუყოვნებლივ, თუმცა არაუგვიანეს ასეთი შემთხვევის დადგომიდან 2 (ორი) სამუშაო დღისა, შეატყობინებს ბანკს შემთხვევის შესახებ ინციდენტის ბუნებისა და გამჟღავნებული/განადგურებული/შეცვლილი პერსონალური მონაცემების მითითებით;

1.1.5 დაუყოვნებლივ მიიღებს ზომებს ინციდენტზე დროული რეაგირებისა და მისი გამომწვევი მიზეზების აღმოფხვრისთვის და გატარებული ზომების შესახებ აცნობებს ბანკს;

1.1.6 ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე მესამე პირს არ გადასცემს ხელშეკრულების ფარგლებში ბანკისგან მიღებულ პერსონალურ მონაცემებს. ასეთი თანხმობის მოპოვების შემთხვევაში, მონაცემთა მიმღებ მესამე პირზე ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გავრცელდება წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული მოთხოვნები;

1.1.7 მხოლოდ განსაზღვრულ შემთხვევებში და ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის შესაბამისად პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში ჩართავს ქვე-კონტრაქტორებს, რომლებზეც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გავრცელდება წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული პირობები. მონაცემთა დამუშავების პროცესში ქვე-კონტრაქტორის ჩართვა არ ათავისუფლებს მას ნაკისრი ვალდებულებებისაგან და არ ზღუდავს მისი პასუხისმგებლობის ფარგლებს ასეთი ვალდებულებების დარღვევისას დამდგარ ზიანთან მიმართებაში;

1.1.8 წინამდებარე პოლიტიკის 1.1.7 მუხლით განსაზღვრული უფლების გამოყენების შემთხვევაში, ბანკს შეატყობინოს ხელშეკრულების ხელმოწერის დროისთვის დაქირავებული ქვე-კონტრაქტორების ვინაობა და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილება განახორციელოს მხოლოდ ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობით. ბანკი უფლებამოსილია, არ დაეთანხმოს ხელშემკვრელი მხარის მიერ წამოყენებული ქვე-კონტრაქტორის კანდიდატურას. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული საკითხი ვერ გადაწყდება მოლაპარაკების გზით, ბანკი უფლებამოსილია ყოველგვარი ზიანის ანაზღაურების გარეშე ვადამდე შეწყვიტოს მხარესთან დადებული ხელშეკრულების მოქმედება;

1.1.9 ბანკის მიერ პოლიტიკის 1.1.8 მუხლის საფუძველზე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, გონივრულ ვადაში დაუბრუნოს ბანკს და აღდგენის შესაძლებლობის გარეშე წაშალოს/გაანადგუროს მისთვის გადაცემული პერსონალური მონაცემები და მათი ასლები. ბანკი უფლებამოსილია, მხარეს მოსთხოვოს მონაცემთა წაშლის დადასტურება. წინამდებარე მუხლი არ ვრცელდება ისეთ ინფორმაციაზე, რომლის შენახვის ვალდებულებას მხარეს მოქმედი კანონმდებლობა ანიჭებს;

1.1.10 პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული ვალდებულებები ძალაში რჩება მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის შემდეგ იმ ვადით, რა ვადითაც მხარე ინარჩუნებს წვდომას ხელშემკვრელი მხარის მიერ მისთვის გადაცემულ პერსონალურ მონაცემებზე. წინამდებარე მუხლი არ უნდა იქნას მიჩნეული პარტნიორი კომპანიის უფლებად, შეინარჩუნოს წვდომა ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულ პერსონალურ მონაცემებზე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ. პარტნიორი კომპანია ვალდებულია, სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 30 დღისა დააბრუნოს და აღდგენის შესაძლებლობის გარეშე წაშალოს/გაანადგუროს მისთვის ბანკის მიერ გადაცემული პერსონალური მონაცემები და მათი ასლები.

1.2 ბანკი უფლებამოსილია, გონივრული ეჭვის არსებობისას, შეამოწმოს ხელშემკვრელი მხარისთვის ბანკის მიერ გადაცემული პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში გამოყენებული საშუალებებისა და სისტემების გამართულობა; ასევე, მათი ტექნიკური და ორგანიზაციული მახასიათებლების შესაბამისობა წინამდებარე პოლიტიკით დადგენილ უსაფრთხოების მოთხოვნებთან.

1.3 ზემოაღნიშნული გარანტიების დარღვევის სიმძიმიდან გამომდინარე, ბანკს აქვს უფლება, შემოწმების მიზნით, ხელშემკვრელ მხარეს მოსთხოვოს შესაბამისი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის ბანკისთვის წარდგენა.

1.4 ბანკი სრულად იხსნის პასუხისმგებლობას ნებისმიერ ზიანსა და ხარჯზე, რომელიც გამოწვეულია ხელშემკვრელი მხარის მიერ წინამდებარე პოლიტიკით განსაზღვრული რომელიმე ვალდებულების განზრახი ან გაუფრთხილებელი დარღვევით.

1.5 მონაცემების დამმუშავებელი მხარე ვალდებულია სრულად დაიცვას ქვემოთ მითითებული ინფორმაციული სისტემების ინფრასტრუქტურის მოთხოვნები:

ინფორმაციული სისტემების ინფრასტრუქტურის მოთხოვნები:

ხელშემკვრელი მხარის გარემო, რომელშიც დროებით ან მუდმივად ხვდება ბანკის მიერ მიწოდებული პერსონალური მონაცემები საჭიროა უზრუნველყოფილი იყოს შემდეგი:

1. პერსონალური მონაცემების შესანახად და დასამუშავებლად უნდა არსებობდეს იზოლირებული გარემო, რომელიც ძირითადი ინფრასტრუქტურისგან იქნება გამოყოფილი დამოუკიდებელი Firewall ით.
2. გარემოს Firewall-ზე წვდომების დაშვება უნდა კონტროლდებოდეს შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ.
3. იზოლირებულ გარემოში მოთავსებულ ინფორმაციასთან წვდომა უნდა ხორციელდებოდეს ს.წ. ტერმინალ სერვერების (Jump Server) საშუალებით.
4. უნდა კონტოლდებოდეს და ხორციელდებოდეს გარემოს მთლიანობის/წვდომადობის მონიტორინგი.
5. გარემოში მოთავსებული სერვერებზე უნდა ხორციელდებოდეს განახლებების მონიტორინგი.
6. სადაც შესაძლებელია პერსონალური მონაცემები უნდა ინახებოდეს დაშიფრული სახით ძლიერი შიფრაციის ალგორითმების გამოყენებით.
7. იზოლირებულ გარემოსთან წვდომა უნდა ხორციელდებოდეს დაცული მეთოდით, დაშიფრული კომუნიკაციით და უსაფრთხო პროტოკოლის გამოყენებით.
8. იზოლირებული გარემოსთვის უნდა არსებობდეს პაროლების პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრას პაროლის სირთულეს, ცვლილების დროს და ისტორიას.
9. იზოლირებულ გარემოს სერვერებზე ადმინ მომხმარებლების პაროლები უნდა იყოს დანაწევრებული მინიმუმ ორ ნაწილად და უნდა ინახებოდეს სხვადასხვა მფლობელთან, უსაფრთხო მეთოდის გამოყენებით.
10. გარემოზე წვდომის დაშვებისას უნდა ხორციელდებოდეს მომხმარებლის ორ ნაბიჯიანი ავთენტიფიკაცია (ე.წ. Two Step Authentication).
11. იზოლირებული გარემო არ უნდა იყოს ინტერნეტიდან წვდომადი.
12. იზოლირებულ გარემოს სერვერებზე უნდა ხორციელდებოდეს ლოგირება, ლოგი უნდა ინახებოდეს ცენტრალიზებულად და საჭიროების შემთხვევაში მოხდეს მისი გამოყენება ინციდენტის ან ხარვეზის გამოკვლევის პროცესში.
13. პერსონალური მონაცემების შესანახად, დასამუშავებლად ან გადასაცემად არ უნდა გამოიყენებოდეს ღრუბლოვანი გარემო (Remote storage, Cloud Service).
14. დეველოპმენტის ან ტესტირების ფარგლებში პერსონალური მონაცემების გამოყენებისას უნდა ხდებოდეს ინფორმაციის დამახინჯება ისეთი სახით, რომ ვერ ხდებოდეს პიროვნების პირდაპირი ან ირიბი იდენტიფიცირება.
15. ხანდაზმულობით ან სპეციალური მოთხოვნით ინფორმაციის განადგურებისას გამოყენებულ უნდა იქნას შრედერი ან ცეცხლი. განადგურების პროცესს უნდა ესწრებოდეს წინასწარ განსაზღვრული ბანკის წარმომადგენელი.